

„ქართული ოცნების“ რეპრესიული მექანიზმების მორიგი „გაახლება“

თამარ ქეცბაია¹

ქართული ოცნების პარლამენტმა დაჩქარებული წესით, რეპრესიული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრების მიზნით, მორიგი ცვლილებები შეიტანა სხვადასხვა კანონში, მათ შორის, რეპრესიების მთავარ დასაყრდენში - საბჭოთა კავშირის დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.²

ცვლილებების მიზნად სახელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე სახელმწიფოს ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობის გაჩენა.³ სწორედ აქ ჩნდება პირველივე კითხვა: რომელ გამოწვევებზე საუბრობს რეჟიმი და რატომ მიიჩნევს, რომ ამ გამოწვევებს არსებული მექანიზმები ეფექტურად ვერ პასუხობს? კითხვა რიტორიკულია. ცხადია, მთავარი გამოწვევა არის რეჟიმის წინააღმდეგ უწყვეტი პროტესტის შეჩერება, საბოლოოდ ჩახშობა კრიტიკული აზრისა, რომელიც, ამ დრომდე, უმკაცრესი ღონისძიებების მიმართაც კი რეზისტენტულია.

მეტიც, ამ პროცესში, როგორც ჩანს, თავად რეჟიმი დადგა რესურსების ამოწურვის საფრთხის ქვეშ და მოუწია სხვადასხვა ნაბიჯის გადადგმა, რასაც, ერთი მხრივ, მოქალაქეებზე კიდევ უფრო დამაშინებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს, მეორე მხრივ, მოქალაქეთა უმკაცრესად დასჯის პროცესი მაქსიმალურად უნდა გაამარტივოს. ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრი ასეთია. თუმცა, მიიღწევა, თუ - არა მიზანი, დასჭირდება, თუ - არა რეჟიმს დამატებითი მექანიზმების შემოღება და რეპრესიული მანქანის კიდევ უფრო გამკაცრება, ასევე, ვისი რესურსი უფრო შეეწირება ამ პროცესს, ამას დრო გვანახებს. მიზნის მიღწევის საშუალებების ზოგადი შეფასება კი ამ ეტაპზეც მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

ამასთან საინტერესოა, რომ ამ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პროცესში, თავისი წარმოდგენით, თავისსავე სასარგებლოდ, რეჟიმმა ნაწილობრივ აღიარა ის, რის იგნორირებასაც მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, Email:t.ketsbaia@ug.edu.ge

² საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 273-III-XI მპ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 06/02/2025.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6407866?publication=0>

³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ N 07-3/22/11 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/377468>

სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე ნორმების არსებობა და მათზე სათანადო სამართლებრივი სტანდარტის გაუვრცელებლობა.

„პრაქტიკაში ნორმის უფუქტიან აღსრულებას, ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ალექვატური ზომების არსებობა განაპირობებს. ამ კუთხით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს იმგვარ დარღვევებს, რომლებიც, თავისი ბუნებით, წვრილმან სამართალდარღვევას არ წარმოადგენს და საჭიროებს მკაცრ მიდგომას“, - ვკითხულობთ განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის დასაბუთებაში ასევე მოხმობილია საქმე „*მაქარაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*“. ამ საქმეზე მსჯელობისას, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს კანონმდებლობით, სამართალდარღვევა, რომლის ჩადენასაც მოსარჩელეებს ედავებოდნენ, ადმინისტრაციულად კლასიფიცირდებოდა, თუმცა, მის კარგად ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, მოსარჩელეთათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის (ადმინისტრაციული პატიმრობა) - *რომელიც იწვევს თავისუფლების აღკვეთას და წმინდად სადამსჯელო ხასიათისაა* - გათვალისწინებით, კონვენციის მიზნებისთვის, სასამართლომ სისხლის სამართლებრივი ბუნების დარღვევად მიიჩნია და შესაბამისად, იმ სტანდარტით მიუდგა, რომლითაც ჩვეულებრივ სისხლის სამართლის ბრალდების საქმეს განიხილავდა.⁴

შესაბამისად, ეს ნამდვილად აღიარებაა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს მიღებული და დღემდე მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მართლაც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე სამართალდარღვევებს. ამ უკანასკნელს კი სავსაოდ წარმატებით და მოქნილად იყენებენ პრაქტიკაში. აღიარებასთან ერთად, ეს ერთგვარი ანონსიც არის, რომ ამ სახის სამართალდარღვევები კიდევ უფრო გამრავლდება და ზომები კიდევ უფრო მეტად გამკაცრდება, მაგალითად, ადმინისტრაციული პატიმრობის 60 დღემდე გაზრდით და სხვა მკაცრი სანქციების შემოღებით.

თავის მხრივ, ამაში პრობლემას ვერ ხედავს ინიციატორი და იმოწმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასაც, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული პატიმრობის არსებობა აპრიორი არ წარმოადგენს ევროპული კონვენციით დაცული უფლებების დარღვევას, თუკი დაცულია დაკავებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა და საპროცესო გარანტიები.

⁴ [Makharashvili and Others v. Georgia](#) no. 23158/20; 31365/20; 32525/20, 01/09/2022, პარ. 50-52.

მართალია, განმარტებითი ბარათი, პროცედურული გარანტიების თვალსაზრისით, არსებულ მდგომარეობაზე ბევრს არაფერს ამბობს,⁵ თუმცა გამკაცრებული ნორმების სისხლისსამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საქმის განხილვის სტანდარტის დახვეწასა და სტანდარტებისა და მტკიცების ტვირთის სისხლისსამართლებრივთან მიახლოებაზე აპელირებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აჩვენოს ამ მექანიზმების უკიდურესად რეპრესიული ბუნება, გააანალიზოს მათთან მიმართებით გამოყენებული საქმის განხილვის მექანიზმები და დაგანახოთ ცვლილებების რეალური მიზეზები.

რა მექანიზმები დაიმატა რეჟიმმა რეპრესიებისთვის?

ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა 15-დან 60 დღემდე გაიზარდა

რეპრესიულ მექანიზმებს შორის, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ადმინისტრაციული პატიმრობის ოთხჯერ გაზრდილი ზედა ჭერი. ამით, ერთ დროს უდიდეს წარმატებად წარმოჩენილი, ადმინისტრაციული პატიმრობის 90-დან 15 დღემდე შემცირების რეფორმა, რომელიც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ ფასდებოდა წინა ხელისუფლების რეპრესიული მექანიზმის მოშლად (რომელიც, მათივე შეფასებით, პირველ რიგში, აზრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ მოქმედ მექანიზმს წარმოადგენდა),⁶ რეჟიმმა კვლავ დააბრუნა.

კერძოდ, 2014 წელს შესული ცვლილებებით, 90-დღიანი პატიმრობა პროპორციულობის პრინციპის დარღვევად შეფასდა და მის ნაცვლად, შეირჩა 15 დღე. ცვლილებების ინიციატორების განმარტებით, ამ ხანგრძლივობაზე არჩევანი შეჩერდა ევროპული და სხვა

⁵ ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე მეტყველებს ციტირებული საქმე „მაქარაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც, გარკვეულწილად, დასტურდება ის ფაქტი, რომ ხშირად, ისევე როგორც ამ საქმეზე ერთი მოსარჩელის შემთხვევაში მოხდა, ეროვნული სასამართლოები მხოლოდ მოწმედ დაკითხული პატრულ-ინსპექტორების ჩვენებებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას და მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, მტკიცების ტვირთი გადააქვთ პირზე, რომელმაც სასამართლოში საკუთარი უდანაშაულობა უნდა ამტკიცოს.

⁶ ადმინისტრაციული პატიმრობის ზედა ზღვარი 90 დღიდან 15 დღემდე მცირდება, ტაბულა, 30/-1/2014. <https://tabula.ge/ge/news/564928-administratsiuli-patimrobis-zeda-zghvari-90>; ადმინისტრაციული პატიმრობა 90-დან 15 დღემდე შემცირდება, რადიო თავისუფლება, 15/07/2014. <https://www.radiotavisupleba.ge/a/administraciuli-patimroba/25457522.html>

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის იმ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომელშიც ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ აღემატება 15 დღეს.⁷

ზედა ჭერის გაზრდასთან ერთად, პატიმრობის ვადის ზრდით, სახდელი მაქსიმალურად გამკაცრდა კონკრეტულ სამართალდარღვევებზე. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველა ეს სამართალდარღვევა დაკავშირებულია პროტესტთან და წარმოადგენს გამოსატყვისა თუ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაში კიდევ უფრო მკაცრად ჩარევის შესაძლებლობას.

როგორც ზევით აღინიშნა, რეჟიმი ასეთი მკაცრი სახდელის საპირწონედ, საქმის განხილვის სტანდარტის გაუმჯობესებაზე აპელირებს, რაც, მათი გათვლით, დააკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად, ევროპულ კონვენციასთან თავსებადია.

რა იცვლება საქმის განხილვის ნაწილში?

ცვლილებების მიხედვით, როგორც მინიმუმ, ფურცელზე დაზუსტდა და ნათლად დაიწერა, რომ:

- სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (მუხლი 233¹(1)).
- მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება (მუხლი 233¹(1)).
- სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (მუხლი 233¹(2)).
- სამართალდარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს (მუხლი 236(3)).
- არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც კანონითა და მართლშეგნებით ხელმძღვანელობს, მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოების ერთობლივ, ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (მუხლი 237(1)).

⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 07-3/345/8 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/#law-drafting/6046>

- მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პასუხისგებაში მიცემული პირის სასარგებლოდ (მუხლი 237(2)).
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი (მუხლი 266(1¹)).

ჩამოთვლილი გარანტიების გათვალისწინებით, ჩნდება ორი სრულიად ლეგიტიმური, თუმცა, რიტორიკული კითხვა: 1. ამ დრომდე წარმოებული პროცესები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც პირის პატიმრობით სრულდებოდა და ამ მინიმალური სტანდარტების გარეშე იმართებოდა, შეიძლება, თუ - არა მიიჩნეოდეს საქმის სამართლიანად განხილვად? 2. ამ ცვლილებების ძალაში შესვლის მოკლე პერიოდზე დაკვირვებით, რომელ საქმეზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ამ სტანდარტების დაცვით წარიმართა?

მაშინ, როდესაც პროტესტის მონაწილეებს კვლავაც ასამართლებენ უკანონო, დაუსაბუთებელი მტკიცებულებებითა და იმ დათქმით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველთვის მართალია, ცხადია, ეს სტანდარტები, რომლებიც მხოლოდ თვალის ასახვევად და კანონიერების საბურველის შესაქმნელად გამოიყენება, მხოლოდ ფურცელზე დაწერილად რჩება. მხოლოდ ფურცელზე სტანდარტის დაწერა კი, როგორ ძლიერადაც უნდა ეცადოს ამის მტკიცებას რეჟიმი, ადამიანის უფლებების დაცვას არ გულისხმობს და შესაბამისად, არ ათავისუფლებს ევროპული სასამართლოს სამომავლო კრიტიკისგან.

კეთილსინდისიერი მოსამართლე თუ შესაბამისი ორგანო, რომელსაც ევალება სამართალდარღვევის საქმის სამართლიანად განხილვა, აღნიშნული ჩანაწერის გარეშეც შეიძლება საკუთარი თავისთვის ამ სტანდარტების დაცვით საქმის განხილვის უფლებამოსილების მინიჭებას. ხოლო მოსამართლე თუ სხვა უფლებამოსილი პირი, რომელიც არაკეთილსინდისიერების, რეჟიმისადმი მორჩილების კრიტერიუმით არის შერჩეული და ხელშეუხებლობის განსაკუთრებული გარანტიებით სარგებლობს, ამ სტანდარტებზე, თუნდაც ისინი პირდაპირ კანონით იყოს გაწერილი, არასდროს მოცდება.

აქვს, თუ - არა სასამართლოს დრო „სამართლიანი სასამართლოს“ უზრუნველსაყოფად?

სასამართლო იმდენად გადაიტვირთა, არათუ ევროპული სტანდარტით, არამედ რეჟიმის სტანდარტითაც ვერ აუდის საქმეების განხილვას. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, შევიდა კანონში კიდევ ერთი ცვლილება, რომლითაც გახანგრძლივდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სახდელის დადების ვადა.

კერძოდ, თუკი აქამდე სასამართლოს, პირისთვის სახდელის დასადებად, 4-თვიანი ვადა ჰქონდა (რომელიც ამ ქმედების ჩადენის დღიდან აითვლებოდა), ეს ვადა გაიზარდა 6 თვემდე (მუხლი 38(2)).

ამასთან, სასამართლოს განსჯადობიდან გამოვიდა იმ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით საქმეების განხილვა, რომელიც უშუალოდ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესაზღუდად აქტიურად გამოიყენება.⁸ აშკარაა, რომ ამ ცვლილებით და იმ ქმედებების სიმრავლიდან გამომდინარე, რომლებზეც რეჟიმი გამონხმურებასა და სადამსჯელო მექანიზმების ამოქმედებას ისურვებდა, ის თავს იზღვევს სახდელის შეფარდების ვადის გაშვებისგან. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის შედგენითა და საჯარიმო ქვითრის გამოწერით, პირი სახდელდადებულად ითვლება და ეს საკმარისი ხდება იმისათვის, რომ ჩადენილი ქმედების გამო, პირისთვის პასუხისმგებლობის მოთხოვნის ვადა არ გაუშვან.

როგორც ვნახეთ, უკვე კარგად გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები თავად ადგენენ სამართალდარღვევის ოქმს და პროტესტის მონაწილეებს აბარებენ საჯარიმო ქვითარს ან დადგენილებას ჯარიმის შეფარდებასთან დაკავშირებით. ამ გზით დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრება ზემდგომ უფლებამოსილ პირთან, მოქალაქეს 10 დღის განმავლობაში შეუძლია. მასზე რეაგირებისთვის და, დიდი ალბათობით, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის სათქმელად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემდგომი თანამდებობის პირს 30 დღე აქვს. პირი, რომელიც არ ეთანხმება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ზემდგომის დადგენილებას, მას 10 დღის განმავლობაში გაასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში, რომელიც, რა თქმა უნდა, კანონით განსაზღვრული ვადების უგულებელყოფით, მაშინ მიიღებს დადგენილებას, როცა ამისთვის მოიცლის, ან ამას საჭიროდ მიიჩნევს.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება კი, თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის დაუშვებლად ცნობა ან სააპელაციო

⁸ ასეთია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის 1-ლი (შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა), მე-2 (1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ორგანიზატორის მიერ ჩადენა), მე-5 (შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში ჩატარება, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ კანონის“ დარღვევით აქციის ჩატარება, აკრძალული მოწოდებების გაცემა ორგანიზებისას და ჩატარებისას, შეკრებისა და მანიფესტაციის დროს კანონით აკრძალული ნივთების ქონა, ან ქმედებების ჩადენა (გარდა ლაზერის გამოყენებისა, ნიღბით ან ნებისმიერი საშუალებით სახის დაფარვა, იმ მანიფესტაციაში მონაწილეობა, რომელიც შსს-ს მოთხოვნით შეწყდა) და მე-7 ნაწილებით (ლაზერის გამოყენება, ნიღბით ან ნებისმიერი საშუალებით სახის დაფარვა) გათვალისწინებული სამართალდარღვევები.

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი, საბოლოოა და მხოლოდ მისი უარის შემდეგ, განახლება ჯარიმის გადახდის ვადა, რომელიც, ამ პროცესის განმავლობაში, შეჩერებულად ითვლება.

ეს პროცესი წლობითაც რომ გაიწელოს, სახდელის დაკისრების შესაძლებლობის ვადა ასევე შეჩერებულია, შესაბამისად, პირს საბოლოოდ მაინც მოუწევს, პასუხი აგოს წლების წინ ჩადენილი ქმედებისთვის. სწორედ ეს განსხვავებაა, როდესაც საქმეს განიხილავს პირდაპირ სასამართლო. მან 6 თვეში უნდა მოასწროს საქმის განხილვა და პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, დადგენილების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადის გაშვება გახდება საქმის განხილვის შეწყვეტის საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ, ამ სახის ცვლილებით, შესაძლებელი გახდა, დაჯარიმებულმა პირებმა, გარკვეული ვადის განმავლობაში, თავი აარიდონ ჯარიმის გადახდას, სისტემას ეს ნაბიჯი, რესურსების მწვავე უკმარისობის გამო, აუცილებლად უნდა გადაედგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს, 174¹-ე მუხლთან დაკავშირებულ საქმეებზე, გადაწყვეტილება უნდა მიეღოს სასამართლოში საქმის შესვლიდან 3 დღის განმავლობაში (მუხლი 262(2)), რასაც, რეალურად, ყოველთვის არღვევდა. აღნიშნული ცვლილებით, სასამართლო, უფრო სწორად - რამდენიმე მოსამართლე, ამ ტვირთისგანაც გათავისუფლდება.

კერძოდ, სისტემას, როგორც ცნობილია, ამ სახის დავების განსახილველად მხოლოდ რამდენიმე მოსამართლე ეიმედება და მათ სრული დატვირთვით ამუშავებს. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ექვს მოსამართლეს: **მანუჩარ ცაცუას, ნინო ენუქიძეს, კობა ჩაგუნავას, ლელა ცაგარეიშვილს, ლელა მილდენბერგერს, ზვიად ცეკვაძას**, დღის განმავლობაში ათეულობით საქმის განხილვა და სასამართლოში გვიან ღამემდე დარჩენა უწევთ, ისევე, როგორც, ხშირად, არასამუშაო დღეებში - ათეულობით უდანაშაულო ადამიანის გასამართლება. მოცემულ პირობებში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დანარჩენ მოსამართლეებს, ამ სახის დავებით არ ტვირთავენ.

საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჩამოშორებული არიან მოსამართლე **ნინო შჩერბაკოვი, ირაკლი ჩიკაშუა და ვალერიანე ფილიშვილი**, რომლებიც სხვადასხვა დროს, როგორც 2019 წლის აქციებისას, ისე 2024 წლის გაზაფხულზე, ამ სახის საქმეების განხილვის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული მოსამართლეები იყვნენ. უცნობია, რამ განაპირობა მათი ჩამოშორება მოცემულ პერიოდში. შესაძლოა, მათ მიმართ ნდობა შემცირდა, ან, პირიქით, სისტემა მათ ამ სახის შავი საქმეების სისტემური კეთებისგან იცავს.

ამასთან, პროტესტის მონაწილეთათვის დაჯარიმების, ერთი შეხედვით, უფრო სასურველი ფორმა (რადგან ის საქმის განხილვის საბოლოოდ დასრულებამდე, ჯარიმის გადახდას აჩერებს), თეორიულად, შეიძლება ასევე მარტივად დაჩქარდეს, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრო სტანდარტულად, შაბლონურ პასუხს გასცემს სულ რამდენიმე დღეში და არ გამოიყენებს საჩივრის განსახილველად 30-დღიან ვადას. შემდეგ კი სასამართლო დაჩქარებულად განიხილავს დავას. ამასთან, არ არის გამორიცხული, რეჟიმმა, ამ მხრივ, დამატებითი ცვლილებებიც შემოგვთავაზოს და ჯარიმის აღსრულების ვადის შეჩერების წესი გააუქმოს. თუმცა, ამ ეტაპზე, ამჟამად, რომ სასამართლოს დატვირთულობასთან ერთად, ამ ტემპით პროტესტის მონაწილეთა დაჯარიმების შემთხვევაში, არა მხოლოდ სასამართლო სისტემა, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაც მნიშვნელოვნად გადაიტვირთება და მთელი ეს პროცესი დიდ ხარჯს გამოიწვევს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 000-ლარიანი საჯარიმო ქვითრები

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ კრიმინალური პოლიციის ფოსტალიონად გადაქცეული თანამშრომლების მიერ მოქალაქეებისთვის, მათ შორის, შუალამეს, ჩამორიგებული საჯარიმო ქვითრები, რომლებითაც, უმეტესწილად, პროტესტის მონაწილეებს სამართალდამრღვევად ცნობენ სატრანსპორტო გზის ხელოვნურად გადაკეტვისთვის და სახდელის სახედ 5 000 ლარს აკისრებენ. თუმცა არის ნიღბის ტარებისა და ლაზერის გამოყენების გამო დაჯარიმების შემთხვევებიც, რაც, პირველ ჯერზე, 2 000 ლარს ითვალისწინებს.

როგორ გადაეცა აღნიშნული უფლებამოსილება შსს-ს?

როგორც უკვე ვთქვით, ცვლილებების მიხედვით, სასამართლოს განსჯადობიდან გამოვიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების დიდი ნაწილი⁹ (მათი პირველ ჯერზე ჩადენის შემთხვევაში), რომელიც შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევას გულისხმობს. შესაბამისად, მათზე რეაგირება და პირის სამართალდამრღვევად ცნობის უფლებამოსილება შინაგან საქმეთა სამინისტროზე გადავიდა.

⁹ სასამართლოს განსჯადობა რჩება ისეთ სამართალდარღვევებზე, რომლებიც ეხება სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებას, შეკრებას ან მანიფესტაციას მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარებას, ასევე, შსს-ს მიერ შეწყვეტილ აქციაში მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ ასეთ სამართალდარღვევათა ნაწილი სახდელის სახედ პატიმრობას ითვალისწინებს (174¹ მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები). მაგალითად, გზის ხელოვნურად გადაკეტვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია როგორც 5 000-ლარიანი ჯარიმა, ისე 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა.

შეუძლია, თუ - არა მსს-ს, რომ პირს პატიმრობაც თავად შეუფარდოს?

ამ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროზე სამართალდარღვევების წარმოების უფლებამოსილების გადასვლით, სამინისტრო მაინც ვერ შეიტავსებს სახდელის სახედ პატიმრობის შეფარდების უფლებამოსილებასაც, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ამ სახის უფლებამოსილებას მხოლოდ სასამართლოს უდგენს (32-ე მუხლი).

მაშინ როგორ ხდება 174¹-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პატიმრობის შეფარდება, თუ არც მსს-ს აქვს ამის უფლება და არც სასამართლოს აქვს განსჯადობა?

ცვლილებებით საჭირო გახდა იმის დაზუსტება, რომ სასამართლოს მოცემულ სამართალდარღვევებზე აქვს განსჯადობა მაშინ, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი პირი მივა დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს, სახდელის სახით, ადმინისტრაციული პატიმრობა უნდა შეეფარდოს. ასეთ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს დაუყოვნებლივ წარუდგენს შესაბამის სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს და გამოიტანს შესაბამის დადგენილებას (მუხლი 208¹).

ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ სახის სამართალდარღვევების გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში კვლავ რჩება პირის ადმინისტრაციულად დაკავებისა და მისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა. სასამართლოს კი შეუძლია ამ საქმის განხილვა.

ცვლილებებამდე, სასამართლოს მიერ დაბარებული პირი პროცესის ბოლომდე გაურკვევლობაში იყო, რა სახის სახდელის გამოყენება შეეძლოთ მის წინააღმდეგ. ახლა კი უფრო ნათელი ხდება, რომ, პირისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარიმის პირადად ჩაბარების შემთხვევაში, პატიმრობა მოსალოდნელი არაა, ხოლო, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო პირს პირდაპირ სასამართლოში წარადგენს, ეს ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ითხოვს

პატიმრობის შეფარდებას, თუმცა, ჰიპოთეტურად, შესაძლოა სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილოს და მხოლოდ ჯარიმის დაკისრებით შემოიფარგლოს, ან პირი სამართალდამრღვევად არ ცნოს.

რამდენად სწორია სასამართლოს განსჯადობიდან იმ სამართალდარღვევის გამოსვლა, რომელიც განსაკუთრებით მკაცრ სანქციებს, მათ შორის, ერთ-ერთ სახდელად პატიმრობას ითვალისწინებს?

თუკი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ სამართალდარღვევათა დიდი ნაწილი,¹⁰ რომელიც სახდელის ერთ-ერთ ზომად პატიმრობას ითვალისწინებს, სასამართლოს განსჯადია და არა - სხვა უფლებამოსილი ორგანოს.

საინტერესოა, რომ ცვლილებების ინიცირებული¹¹ და 2025 წლის 5 თებერვალს პირველი მოსმენით დამტკიცებული ვერსიით,¹² 174¹-ე მუხლის მე-5, მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებიც სასამართლოს განსჯადობიდან უნდა გამოსულიყო, ადმინისტრაციული სახდელის სახედ პატიმრობას არ ითვალისწინებდა.

თუმცა, მეორე მოსმენისთვის, პარლამენტის რეგლამენტის 112-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა ითხოვა რამდენიმე მუხლის (მათ შორის 174¹-ე მუხლის) გამოყოფა მეორე მოსმენით დასამტკიცებელი კანონპროექტისგან, დამატებითი განხილვის საჭიროებიდან გამომდინარე.¹³

კერძოდ, მან განმარტა, რომ ადამიანის უფლებების ქრილში საკითხის უკეთ დასაზრუნად და მეტი გარანტიების შესაქმნელად, აგრეთვე, ზოგიერთი პროცედურული საკითხის უკეთ გააზრების მიზნით, საჭირო იყო დამატებითი კონსულტაციები, რის შემდეგაც, მეორე მოსმენით, ცალკე, მხოლოდ რამდენიმე მუხლს ეყრებოდა კენჭი და საბოლოოდ, მესამე მოსმენისას გაერთიანდებოდა კანონპროექტი.¹⁴ როგორც გაირკვა, ამგვარი კონსულტაციებისთვის საკმარისი

¹⁰ კოდექსის მიხედვით, პატიმრობის შეფარდების 51 შესაძლებლობიდან, 43 სასამართლოს განსჯადი სამართალდარღვევებია. მხოლოდ 6 შემთხვევაში არის მითითება, რომ მისი განმხილველი უფლებამოსილი ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროა, ერთ შემთხვევაში - ფინანსთა სამინისტრო და ერთ შემთხვევაში არ იკვეთება უფლებამოსილი ორგანო.

¹¹ “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ” N 07-3/22/11 კანონპროექტი, <https://www.parliament.ge/legislation/30044>

¹² <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/377775>

¹³ <https://info.parliament.ge/#law-drafting/30067>

¹⁴ <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/47200?>

აღმოჩნდა მხოლოდ 4 საათი.¹⁵ თუმცა საკითხავია, საკმარისი აღმოჩნდა, თუ - არა იმისთვის, რომ ცვლილებები შესაბამისობაში მოსულიყო ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტებთან.

ორივე ფაქტი - ის, რომ პატიმრობის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია და ის, რომ ზოგადად, იმ სახის სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც პოტენციურად პატიმრობის შეფარდებაა შესაძლებელი, სასამართლოს განსჯადია - დაკავშირებულია სტატიის დასაწყისში ნახსენებ საკითხთან. კერძოდ, პატიმრობა, თავისი არსით, იმდენად მკაცრი სახდელია, რომ ის სამართალდარღვევას, უმეტესად, სისხლისსამართლებრივი ბუნებისად აქცევს და მისი შეფარდებისას, შესაბამისი პროცედურული გარანტიების არსებობას საჭიროებს. ამას, როგორც ვახსენეთ, რეჟიმიც აღიარებს. თუმცა, რეჟიმი ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს მხოლოდ სახდელის სახედ პატიმრობის, ისიც 60 დღემდე გაზრდილი ვადის, შემთხვევაშია რელევანტური.

სინამდვილეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ე.წ. Engel-ის კრიტერიუმებით, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ ბრალდებად მიჩნევისთვის მნიშვნელოვანია: 1. ეროვნული კანონმდებლობის მიერ დანაშაულის სამართლებრივი კლასიფიკაცია, კერძოდ, რეგულირდება, თუ - არა სისხლის სამართლის კანონმდებლობით; 2. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ბუნება; 3. პოტენციური სასჯელის სიმკაცრის ხარისხი. პირველი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობა არ გამორიცხავს დანაშაულის სისხლისსამართლებრივ ბუნებას. რაც შეეხება მეორე და მესამე კრიტერიუმებს, ისინი ალტერნატიულია, თუმცა შესაძლებელია მათი ერთობლიობაში, ერთმანეთის შემავსებლად განხილვაც, თუკი, დამოუკიდებლად თითოეულის არსებობა ცხადად არ არის წარმოჩენილი.¹⁶

ამ სამართლებრივ ტესტზე დაფუძნებული და შემდეგ, ევროპული სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დარღვევის სისხლისსამართლებრივი ბუნება შეიძლება გამომდინარეობდეს: 1. მისი სისხლისსამართლებრივი ხასიათიდან (ვრცელდება ყველაზე და არა - პირთა შეზღუდულ ჯგუფზე¹⁷ და სანქცია, მათ შორის, სადამსჯელო ან

¹⁵ მეორე მოსმენით (გამოყოფილი მუხლების გარეშე) კანონპროექტს კენჭი უყარა 2025 წლის 6 თებერვლის 14:39 საათზე, ხოლო გამოყოფილ მუხლებს - იმავე დღის 18:48 საათზე, რასაც იმავე წუთს მოჰყვა კანონპროექტის მესამე მოსმენით დამტკიცებაც. <https://www.parliament.ge/legislation/30044>

¹⁶ *Engel and Others v. The Netherlands*, no. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72, 08/06/1976, პარ. 82-83.

¹⁷ საქმეზე *Kasparov and Others, v. Russia* no. 21613/07, 03/10/2013, სასამართლომ განმარტა, რომ რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, დასჯადად აცხადებს არასანქცირებულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებას. ეს დებულება არეგულირებს საზოგადოებრივი წესრიგის

შემაკავებელ/გადათქმევინების მიზნებს ემსახურება¹⁸), ან 2. ამ კონკრეტული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის სფეროსთვის მიკუთვნებული ბუნებისა და სიმკაცრის¹⁹ სასჯელის დაკისრების შესაძლებლობიდან. ასეთი სიმკაცრის სახდელად მიჩნეულია, მაგალითად, პატიმრობა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც თავიანთი ბუნებით, ხანგრძლივობით ან აღსრულების ხერხით, არ იწვევს არსებით ზიანს.

სახდელის სიმკაცრესთან მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღება ექცევა შესაძლო სასჯელის სიმკაცრეს და არა - ფაქტობრივად შეფარდებულს.²⁰ შესაბამისად, ამ კრიტერიუმზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, რა დევს სასწორზე, რა არის პოტენციური სასჯელი. საქმეზე *Balsytė-Lideikienė v. Lithuania* სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ საქმეზე პირის მიმართ მხოლოდ გაფრთხილება გამოიყენეს, შესაძლო სახდელი, რომელიც შეიძლება მისთვის დაეკისრებინათ იყო 1 000 დან 10 000-მდე LTL, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში კი შესაძლებელი იყო, მისი 30 დღემდე პატიმრობით ჩანაცვლება. ამასთან, სიტყვიერ გაფრთხილებასთან ერთად, მოსარჩელის საკუთრების კონფისკაცია მოხდა, რაც, სასამართლოს განმარტებით, ხშირად სისხლისსამართლებრივ სასჯელად მიიჩნევა.

ზემოთ ხსენებული პრაქტიკა და კრიტერიუმები გვჭირდება იმის ნათლად დასაზიარად, რომ სინამდვილეში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, დიდი ხანია, განსაკუთრებით კი ბოლო ერთ თვეში განხორციელებული არაერთი ცვლილების

წინააღმდეგ მიმართულ დარღვევებს და მიზნად ისახავს დემონსტრაციების ჩატარების წესის დადგენას. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დარღვეული სამართლებრივი წესი მიმართულია ყველა მოქალაქის მიმართ და არა - მცირე ჯგუფის მიმართ, რომელსაც სპეციალური სტატუსი აქვს. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, დანაშაული ზოგადი ხასიათის იყო, რაც კონვენციის მიზნებისთვის მისი სისხლისსამართლებრივი ბუნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია (პარ. 42).

¹⁸ საქმეში *Nemtsov v. Russia* no.1774/11, 31/07/2014, სასამართლომ დაადგინა, რომ 15-დღიანი პატიმრობა წმინდად სადამსჯელო ხასიათის იყო (პარ. 82-84). საქმეზე *Mikhaylova v. Russia* no.46998/08, 19/11/2015, სადაც სახდელის სახედ გათვალისწინებული იყო 1000 რუბლამდე ჯარიმა, სასამართლომ განმარტა, რომ, როცა საწესი გამოიწვევია არა მხოლოდ ზიანის მატერიალური ანაზღაურებისთვის, არამედ, ძირითადად, სადამსჯელო და შემაკავებელი ბუნებისაა, უკვე საკმარისია სასამართლოსთვის, კონვენციის მიზნებისთვის სამართალდარღვევა სამართლებრივი ბუნებისად მიიჩნიოს და შესაბამისად მიუდგეს მის განხილვას (პარ. 64-65). სასამართლომ ამავე საქმეზე, სამართლიან სასამართლოზე მსჯელობისას, რაც, მოსარჩელის განმარტებით, მისთვის უფასო საადვოკატო მომსახურების უფლების არარსებობაში გამოიხატა, განმარტა, რომ მართალია, 1000 რუბლი საკმაოდ მცირე ოდენობის თანხაა, თუმცა მოსარჩელის წინააღმდეგ წარმოებული პროცედურები პირდაპირ უკავშირდებოდა მის მიერ გამოხატვისა და შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობას. შესაბამისად, სასამართლო ვერ დაუშვებდა, რომ მოსარჩელის შემთხვევაში, სასწორზე ცოტა რამ იყო (პარ. 99). საქმეზე *Balsytė-Lideikienė v. Lithuania* no.72596/01, 04/11/2008, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავად უთითებდა, რომ ადმინისტრაციული სახდელი მიზნად ისახავს სამართალდამრღვევის დასჯას და ხელმეორედ ჩადენისგან გადათქმევინებას (პარ. 58).

¹⁹ *Balsytė-Lideikienė v. Lithuania* no.72596/01, 04/11/2008, პარ. 60.

²⁰ *Galstyan v. Armenia* No. 26989/03, 15/11/2007, პარ. 59.

გათვალისწინებთ, შეიცავს უამრავ სამართალდარღვევას, რომლებიც კონვენციის მიზნებისთვის, სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონედ უნდა იქნეს მიჩნეული. მათ შორის, არ არის აუცილებელი, სახდელის სახედ გათვალისწინებული იყოს პატიმრობა. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლითაც უკვე არაერთი პირი დაჯარიმდა, სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონეა, პატიმრობის ნაწილის გამოკლების შემთხვევაშიც. შესაბამისად, მართალია, ამ მუხლით პირის სამართალდამრღვევად ცნობის უფლებამოსილება შსს-ს გადაეცა, იმ დათქმით, რომ პატიმრობის ნაწილს ის არ შეეხება და ასეთ შემთხვევაში, განხილვის უფლებამოსილებას სასამართლოს დაუთმობს, შსს მაინც სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევას იხილავს.

კერძოდ, ეს კონკრეტული სამართალდარღვევა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, მრავალი მიზეზის გამო, არის ბუნებით სისხლისსამართლებრივი. პირველ რიგში, ის მიმართულია ყველასკენ და არა - კონკრეტული სტატუსის მქონე ჯგუფისკენ; ის გამოიყენება არა მატერიალური ზიანის ანაზღაურების, არამედ, როგორც სადამსჯელო, ისე შემაკავებელი მიზნით (თუნდაც კანონი პირდაპირ არ უთითებდეს, რომ ადმინისტრაციული სახდელის მიზანი სადამსჯელოა. მის შემაკავებელ ხასიათზე კანონი პირდაპირ უთითებს, ისევე, როგორც ცვლილებების განმარტებითი ბარათი); და ამ სახის სახდელი არის განსაკუთრებულად მკაცრი სამართალდამრღვევი პირებისთვის.

ზემოთ თქმულის განსამტკიცებლად, რამდენიმე ლოგიკური არგუმენტის წარმოჩენაც საკმარისია. პირს, რომელსაც პოლიცია, საკამოდ ბუნდოვან კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სატრანსპორტო გზის ხელოვნურად გადაკეტივისთვის სამართალდამრღვევად მიიჩნევს, ჯარიმის სახით შეეფარდება 5 000 ლარი, რაც სულ ცოტა ხნის წინ, კანონის მიხედვით, მხოლოდ 500 ლარს შეადგენდა. პროტესტებზე საპასუხოდ და მასში მონაწილეთა უმკაცრესად დასასჯელად კი, მისი ოდენობა გაათმაგდა.

თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს სისტემურად რომ დავაკვირდეთ და ვნახოთ, თუ რა სახის სამართალდარღვევებისთვის არის გათვალისწინებული პირველ ჯერზე ქმედებისთვის ფიქსირებული 5 000-ლარიანი ჯარიმა, ან თუნდაც - მასზე შედარებით მცირე თანხა,²¹ აღმოვაჩინებთ ამ ოდენობის ჯარიმის უხემ და აშკარა არაპროპორციულობას არა მხოლოდ

²¹ 58²-ე მუხლის მე-5 ნაწილი “20000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩადვრა”, 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილი “კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის

მოცემულ სამართალდარღვევასთან მიმართებით, არამედ მის შეუსაბამობას, ზოგადად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მიზნებთან.

სისხლის სამართლის კოდექსშიც კი, მოსამართლე ბევრად უფრო თავისუფალია ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას. კერძოდ, კოდექსი მოსამართლეს ქვედა ჭერად უდგენს 2000 ლარს²² და შემდეგ უკვე მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ოდენობის ჯარიმას შეუფარდებს. ამ პროცესში კი მას აქვს შესაძლებლობა, დააწესოს კონკრეტული დანაშაულებისთვის უფრო მსუბუქი სანქცია, ვიდრე ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლემ და ამასთან, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლითა და სხვა გარემოებით.²³

თავის მხრივ, 5000-ლარიანი ჯარიმის (რომ არაფერი ვთქვათ კიდევ უფრო მაღალ ჯარიმებზე, რომლებსაც ასევე ითვალისწინებს ცვლილებები სხვადასხვა ქმედებისთვის) ოდენობის არაპროპორციულობასა და მის სადამსჯელო ბუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ ის საქართველოში მედიანურ ხელფასს - 4-ჯერ, საშუალო ხელფასს კი 2.5-ჯერ აღემატება.

ჯარიმის მაღალ ოდენობასთან ერთად, უნდა ვნახოთ, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ გადაიხდის ჯარიმას კანონით დადგენილ ვადაში, რომელიც, შსს-ს მიერ ჯარიმის გამოწერის შემთხვევაში, ჩაბარებიდან 30 დღეს შეადგენს (თუმცა, გასაჩივრების შემთხვევაში, ეს ვადა საბოლოო უარამდე ჩერდება), ხოლო სასამართლოს მიერ ჯარიმის შეფარდების შესახებ დადგენილების შემთხვევაში - ასლის ჩაბარებიდან 7 დღეს.²⁴

კოდექსის 291-ე მუხლის მიხედვით, ამ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება სამართალდამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს, ან მისი ხელფასიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია

ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა”, მუხლი 92 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; მუხლი 144⁴ - რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირიანი მოწყობილობების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევა. მუხლი 172⁵ - სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა; მუხლი 179³(1) - მავნებელი ალკოჰოლიანი სასმლის რეალიზაცია;

²² სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 42(2).

²³ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 42(3).

²⁴ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

სხვა მიზეზებით, დაჯარიმების შესახებ ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების საფუძველზე, ჯარიმის გადახდევინება წარმოებს აღმასრულებლის მიერ დამრღვევის პირად ქონებაზე ან საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით.

ძნელად წარმოსადგენია, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამ რაოდენობის თანხა პირდაპირ ედოს ანგარიშზე და დაჯარიმების შემთხვევაში, შეძლოს 7 ან თუნდაც 30 დღის განმავლობაში, ის ბიუჯეტში გადარიცხოს. ამ ოდენობის ანაზღაურება საქართველოში არ აქვს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირს, თავად პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლესაც კი, რომლის ოფიციალური ხელფასი, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მიხედვით, 4 000 ლარს შეადგენს (დანამატის გარეშე).²⁵

აღსრულების ნაწილთან მიმართებით, ასევე საინტერესოა როდიდან იწყება ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის ვადის ათვლა, განსაკუთრებით კი ეს მნიშვნელოვანია შსს-ს მიერ გამოწერილი ჯარიმების შემთხვევაში, რის შესახებაც შეიძლება სახელდადებული პირი სათანადოდ ინფორმირებული არც იყოს.

ამ მხრივ, გაურკვევლობას იწვევს თავად ამ სახის ჯარიმების გამოწერის უცნაური პრაქტიკა. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო აბარებს პირდაპირ ოქმს და ამტკიცებს, თითქოს ოქმი ადგილზეა დაწერილი, რაც გულისხმობს იმას, რომ ოქმი სამართალდამრღვევის პირისპირ, უშუალოდ სამართალდარღვევის ადგილას, გამოწერა. შესაბამისად, ჩაბარებულად ჩაითვლება პირისთვის მისი გაცნობის მომენტიდან. თუმცა პრაქტიკაში, ადგილზე გამოწერილი ჯარიმა სულაც არ არის ადგილზე გამოწერილი და ამ სახის საჯარიმო ქვითრები სამართალდამრღვევად ცნობილ პირებს სახლებში ან სხვა ლოკაციაზე (სამართალდარღვევის ადგილიდან და მისი ჩადენის დროიდან განსხვავებულ დროსა და ადგილას) ბარდებათ. შესაბამისად, არის შანსი, რომ ე.წ. „ფოსტალიონ შსს-ს თანამშრომელს“ პირი არ დახვდეს რეგისტრირებულ მისამართზე, ამ პირს კი წარმოდგენა არ ჰქონდეს, რომ მის წინააღმდეგ გამოწერილია ჯარიმა. ასეთ შემთხვევაში, კანონი არ ამბობს და ვერ იტყვის, როგორ უნდა ჩაბარდეს ადგილზე გამოწერილი ჯარიმა (რადგან, ლოგიკურად ვარაუდობს, რომ ადგილზე გამოწერილი, ადგილზევე ბარდება),²⁶ თუმცა არ არის გამოორიცხული, რომ ამაზე გავრცელდეს

²⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 69(2)(ღ). ამავე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურება 5 000 ლარს შეადგენს, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის - 6 000 ლარს. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=52>

²⁶ კოდექსი იცნობს ადგილზე გამოწერადი ჯარიმებიდან გამონაკლისს, როცა ჯარიმა ვერ გამოიწერება ადგილზე და შესაბამისად, ადგილზევე ვერ ჩაბარდება და ამ სამართალდარღვევის ფაქტი ფოტო/ვიდეოფირის მეშვეობით დგინდება. შესაბამისად, ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში ჯარიმის ჩაბარების განსხვავებულ წესს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მიემართება სატრანსპორტო საშუალებების

ზოგადი წესი (ცხადია, ამის კანონიერებაც ეჭვქვეშ დგას), რომელიც საჯარიმო ქვითრისა თუ დადგენილებების ჩაბარების წესს გულისხმობს (ისეთი, რომელიც არ არის ადგილზე გამოწერილი).

კერძოდ, პირს, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ეგზავნება ქვითარი. თუ ვერც პირველ ჯერზე და ვერც განმეორებითი მცდელობისას (არაუადრეს 30-ე დღისა იგზავნება იმავე მისამართზე) ვერ ჩაბარდა, მაშინ ეს ქვითარი საჯაროდ გამოქვეყნდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჯაროდ გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს ჩაითვლება ოფიციალურად ჩაბარებულად (მუხლი 290¹). პრაქტიკაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო არც ამ წესს იცავს და აქვეყნებს პირდაპირ. თუმცა, ისიც უცნობია თუ სად უნდა გამოქვეყნდეს ჯარიმები.

ასეთი მნიშვნელოვანი და მკაცრი სახდელის შემცველი ჯარიმის ჩაბარების ეს ბუნდოვანი პროცედურა, მაშინ, როცა თავად ჯარიმის არსებობის შესახებ პირს შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეს, აჩენს იმის რისკს, რომ პირს შეუზღუდოს მისი გასაჩივრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება და ამასთან, მის მიმართ დაიწყოს იძულებით აღსრულება.

ბოლოს, ჯარიმის არაადეკვატურ ოდენობასა და მისი გადაუხდელობის რეალურ პრობლემასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც სახდელდაუდებლად ცნობის საკითხს ითვალისწინებს. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, კონკრეტულ სამართალდარღვევებზე (მათ შორის, პროტესტის წინააღმდეგ გამოყენებულ მუხლებზე) სახდელდაუდებლად პირის გამოცხადების ვადა მიბმულია ჯარიმის სრულად გადახდასთან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი დაფარავს ჯარიმას სრულად, იწყება ერთწლიანი ვადის ათვლა, რომლის გასვლის შემდეგაც, პირი სახდელდაუდებლად ითვლება (მუხლი 39(3)). ეს სტატუსი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რადგან კოდექსი მას დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს, ბევრ მუხლთან მიმართებით კი, პირის მიერ იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, კიდევ უფრო მკაცრ სანქციას ითვალისწინებს.

მაგალითად, თუ პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედებისთვის არის სახდელდაუდებული და ჩაიდენს ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, მისი ჯარიმის ოდენობა გაიზრდება 5 000-დან 10 000 ლარამდე, ადმინისტრაციული პატიმრობის შესაძლო მაქსიმალური ვადა კი - 25

მართვასთან დაკავშირებული წესების დარღვევას. იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 31 ოქტომბრის N 534 ბრძანება „ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტზე საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია 06/04/2020.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3834591?publication=1>

დღემდე, ხოლო თუ მას ორგანიზატორობაში დებენ ბრალს, ჯარიმა, შესაბამისად, 15 000 ლარიდან 20 000 ლარამდე, ან პატიმრობა - 60 დღემდე ვადით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, რთულია, მეტიც, წარმოუდგენელია, ვერ დავინახოთ პროტესტის წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სისხლისსამართლებრივი ბუნება, რომელიც, გარდა იმისა, რომ წმინდად სადამსჯელო ხასიათისაა, ასევე არაადეკვატურია, არ იძლევა მისი პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენების შესაძლებლობას, მარტივად მიექცევა იძულებით აღსრულებაში და ასეთის შემთხვევაში, განუზომელ ტვირთს აკისრებს სამართალდამრღვევ პირს. ამ სახის სასჯელი მიმართულია არა საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთების მქონე პირის აღზრდისკენ, როგორც ამას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განმარტავს,²⁷ არამედ კრიტიკული მოქალაქის გაჩუმებისკენ, დაშინებისკენ, რასაც მსუსხავი ეფექტი აქვს მთლიანად საზოგადოებაზე და მათი გამოსატყვის თავისუფლების რეალიზებაზე.

ასეთ პირობებში, ვხედავთ, რომ, სამართალდარღვევის განხილვისას, არათუ დაცულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპები და შესაბამისი სტანდარტები, არამედ ხშირად შეიძლება მინიმალური სტანდარტის დაცვაც კი ვერ იქნეს უზრუნველყოფილი. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ამტკიცებს, რომ საჯარიმო ქვითარი საქმის ადგილზე განხილვის შედეგად გამოწერა, სინამდვილეში, მას ადგილზე არ განიხილავს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹-ე მუხლის მიხედვით, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე განხილვა გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას თავად სამართალდარღვევის ადგილზე, ადგილზევე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

პრაქტიკაში, ამ გზით დაჯარიმებისას, პირს ბარდება მხოლოდ შესაბამისი ქვითარი, ისეთი პირის მიერ, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს საქმის დეტალებზე, ნებისმიერი ჩაკითხვის შემთხვევაში, პასუხის გაცემას თავს არიდებს და პირს გასაჩივრების შესაძლებლობაზე მიუთითებს. ამასთან, საჯარიმო ქვითარი, რომელიც ჯერჯერობით არ არის ადაპტირებული კოდექსში შესულ ცვლილებებთან და აშკარად სხვა სამართალდარღვევის შაბლონს წარმოადგენს,

²⁷ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით „ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით“.

სახელდადებულ პირს, ჯარიმის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, არასწორ ინფორმაციას აწვდის.²⁸

თავის მხრივ, მართალია, პირს აქვს გასაჩივრების უფლება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ჩაბარების ბუნდოვანი წესიდან გამომდინარე, საერთოდაც არ ჩაბარდეს პირს და ისე დაიწყოს ჯარიმის აღსრულება, შეიძლება მან გასაჩივრების უფლებითაც ვერ ისარგებლოს.

საინტერესოა გასაჩივრების შემთხვევაში მტკიცების ტვირთის საკითხიც. როდესაც პირი საჯარიმო ქვითარს ასაჩივრებს მაშინ, როცა მას არანაირი სხვა მტკიცებულება არ ახლავს, პირმა მხოლოდ მშრალად უნდა მიმართოს ზემდგომ თანამდებობის პირს, რომ მის მიმართ გამოწერილი ჯარიმა უკანონო და დაუსაბუთებელია. ის მოკლებულია სხვა სახის არგუმენტების დასახელების შესაძლებლობას. ცვლილებების შედეგად, დაზუსტდა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს, მტკიცების ტვირთი საქმის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოზეა, თუმცა არ არის პირდაპირი მითითება, რომ ყველა ეტაპზე ასეა. ერთადერთი მითითება, რომელსაც შემდეგ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ვხვდებით, სააპელაციო საჩივარია, რა დროსაც საჯარიმო ქვითარის უკანონობის ან დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი აპელანტს ეკისრება (მუხლი 272(8)), შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, თეორიულად, სააპელაციო სასამართლომდე, სხვა ნებისმიერ ეტაპზე ეს ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოზეა.

თავის მხრივ, ეს მნიშვნელოვანი გარანტია იქნებოდა საქმის განხილვისას (განსაკუთრებით, პრაქტიკაშიც რომ იცავდნენ), თუმცა, თუნდაც ex post სასამართლო კონტროლის მექანიზმის არსებობის შემთხვევაშიც, ის ვერ ჩაანაცვლებს სისხლისსამართლებრივი ბუნების მქონე სამართალდარღვევაზე სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და სტანდარტს, რომლის შემოთავაზებაც ხშირად მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, როგორც მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ ინსტიტუტს.

²⁸ მაგალითად, 8 თებერვალს, 174¹-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით პირის 5000 ლარით დაჯარიმების ქვითარზე მითითებულია, რომ „საქართველოს ასკ-ის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითარის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა (გარდა ასკ-ის 86¹ და 114² მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით), ხოლო 290-ე მუხლის 1¹ ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობისას, ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებით“. ეს წესი უკავშირდება სატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ წესების დარღვევას, სადაც კონკრეტული სამართალდარღვევები ითვალისწინებს საურავის დარიცხვის შესაძლებლობას. 174¹-ე მუხლი ამის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

სამწუხაროდ, გარდა იმისა, რომ კოდექსით გათვალისწინებული გარანტიები, თუნდაც სხვა თანმდევი ცვლილებების გამო, ილუზორულია, ის დღეს არსებულ სისტემაში ვერც პრაქტიკაში იმუშავებდა. პრაქტიკაში, ფაქტობრივად, მტკიცების ტვირთი გადმოდის პირზე, რომელსაც სამართალდარღვევის ჩაღვანა ეღავებიან. რამდენადაც მას მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა არ გააჩნია, მის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის განხილვისას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აღმოაჩნდება ხოლმე. ამასთან, უმეტესად მის მიერ წარდგენილი მოწმეები და მათი ჩვენებები მიკერძოებულად მიიჩნევა, ხოლო პატრულ-ინსპექტორები, რომლებიც ხშირად ცრუ მოწმეებად არიან წარმოდგენილნი - ნეიტრალურ პირებად. მხოლოდ ისინი იმსახურებენ სასამართლოს ნდობას და სასამართლოს გადაწყვეტილებაც, უმეტესწილად, მათ ახსნა-განმარტებას ეფუძნება.²⁹

შეჯამება

დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებებით, რეჟიმმა რეპრესიული მექანიზმების გამოყენების მარტივი, ხარჯეფექტიანი გზის მოძებნა სცადა, რომლითაც, როგორც მინიმუმ, შეძლებს დემონსტრანტების თითოეულ ქმედებაზე მაქსიმალურად სწრაფი პასუხის გაცემას.

აღნიშნული ცვლილებები კარგად წარმოაჩენს იმას, რომ „ქართული ოცნება“ მართლაც სერიოზულად განიცდის რესურსების ნაკლებობას და გამოწვევებზე საპასუხოდ, სწრაფ გადაწყობას საჭიროებს. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც რეჟიმს უნდა, შექმნას თავისი ეფექტურობის იმიჯი, რომ ის ყველაფერს ხედავს და ყველაფერზე რეაგირებს.

ამ უკანასკნელზე მეტყველებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ გვიან დამით აქციის მონაწილეთა სახლებში ჩამოვლა - მეთოდი, რომელიც კანონიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს. სინამდვილეში, ამით რეჟიმი დამატებით ცდილობს, აქციის მონაწილეები

²⁹ საქმეზე Nemtsov v. Russia, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო პოლიციელების როლი სამართალდარღვევასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ისინი ვერ ჩაითვლებოდნენ ნეიტრალურ დამკვირვებლებად, შესაბამისად, არ დაეთანხმა მოპასუხეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მათ ჩვენებებს უფრო მეტი წონა ჰქონდა და უფრო სანდო იყო, ვიდრე მოსარჩელის მიერ წარდგენილი 13 მოწმე, რომლებიც მოსარჩელესთან ერთად აქციაში მონაწილეობდნენ და მოპასუხის არგუმენტით, ამ გარემოების გათვალისწინებით, მიკერძოებულები იქნებოდნენ. ამ საქმეში სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა მხოლოდ პოლიციის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც ერთმანეთიდან გამომდინარეობდა. საკუთარი მტკიცებულების წარდგენის უფლების გარეშე პირის დატოვებით, სასამართლოებმა მოსარჩელეს დააკისრეს მტკიცების უკიდურესი და აუწველი ტვირთი, რის გამოც მას სასამართლოში წარმატების უმცირესი პერსპექტივაც კი არ გააჩნდა.

დააშინოს და დაანახოს მათ, რომ ყველა მათგანი იდენტიფიცირებულია და რეჟიმმა ისიც კარგად იცის, ვინ სად ცხოვრობს და როდის არის სახლში.

ასეთ პირობებში, ცინიკურია კანონით საქმის განხილვის სტანდარტის „დახვეწა“. სტანდარტის, რომელიც საქმის სამართლიანად განხილვის მოსურნე მოსამართლეს, ამ ცვლილებების გარეშე, შებოჭავდა და რეჟიმის საწინააღმდეგოდ, მინიმუმ, ერთ გადაწყვეტილებას მაინც მიაღებინებდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რას ემსახურებოდა რეჟიმის მხრიდან გარკვეული დაცვის გარანტიების კანონით გაწერა. პასუხი მარტივია: ეწერება, თუ - არა, ამით არაფერი იცვლება, გარდა თვითიმედოვნებისა, რომ მართალია, კანონით ის მექანიზმები დაბრუნდა, რომლებსაც, წლების წინ, თავად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ახლა „გარანტიებიც არსებობს“ (რითაც, მათი გათვლით, შეიძლება ევროპული სასამართლოს ლმობიერი დამოკიდებულება მოიპოვონ), გარანტიები, რომლებიც უჩინარია და ჩაკარგულია საბჭოთა კავშირისდროინდელ და ახლა უკვე - ორიგინალზე უფრო რეპრესიულ და ქაოსურ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.